Gebrüder Weiss

ქცევის კოდექსი

www.gw-world.com

05/2020-ის მდგომარეობით DO_01_01_003_ZEN GE

წინასიტყვაობა

ოჯახური ტიპის კომპანია Gebrüder Weiss (GW) თაობების განმავლობაში გაცნობიერებულად უდგება მის პასუხისმგებლობას იცხოვროს ეთიკური ფასეულობებით და განავრცოს ისინი. წინამდებარე ქცევის კოდექსში გაწერილი ეს ფასეულობები სავლდებულო ხასიათს ატარებს. ამ პოლიტიკის გატარება ევალებათ შპს Gebrüder Weiss-ისა და მისი უშუალო გავლენის ქვეშ მყოფი შვილობილი კომპანიების ყველა დირექტორს, ხელმძღვანელს, მენეჯერსა და თანამშრომელს მსოფლიო მასშტაბით. მენეჯერებს მოეთხოვებათ საკუთარი სამაგალითო როლის გათავისება და ფასეულობების ორგანიზაციის სიღრმეში გავრცელება.

1.

ფასეულობათა სისტემა

GW გადააადგილებს არა მარტო საქონელს და მონაცემებს, არამედ ადამიანებსაც, რომლებიც ქსელს შიგნით ან გარეთ ჩვენთან დაკავშირებულნი არიან. ჩვენს კლიენტებთან ერთად მოწინავე და ინოვაციური იდეებით მომავალში მივდივართ. ამასთან ერთად გვსურს გაგაოცოთ ჩვენი მომსახურებითა და პროდუქტით, რომელიც ეკოლოგიურად მეგობრულ გადაწყვეტილებებზეა ფოკუსირებული. ჩვენი სტრატეგია ძირითად ფასეულობებს ეფუძნება:

- დამოუკიდებლობას
- მდგრადობას
- ერთგულებას
- მომსახურების მაღალ დონეს

რაც ჩვენს ყოველდღიურ ქმედებას წარმართავს და, შესაბამისად, ჩვენი ქცევის კოდექსის ცენტრალურ ელემენტებს წარმოადგენს. GW ადასტურებს, რომ თავის ბიზნეს საქმიანობაში ყველა სამართლებრივ მოთხოვნებსა და ამ დოკუმენტში დასახულ ქცევის წესებს დაიცავს. ჩვენს ბიზნეს პარტნიორებს მოვუწოდებთ, ეთიკურ ფასეულობებთან დაკავშირებული საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მომხრენი იყვნენ და მოველით, რომ ისინი მოქმედ კანონებსა და წესებს შეასრულებენ.

2.

სოციალური პასუხისმგებლობა

მდგრადობა GW-ში კომპანიის ძირითად ფასეულობას წარმოადგენს. ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენი მისწრაფება ამ სფეროში მუდამ გაზომვადი და გამჭვირვალეა. ამიტომაც 2009 წლიდან Global Reporting Initiative (GRI)-ის შესაბამისად მდგრადობის ანგარიშს ვაქვეყნებთ. ჩვენ მივისწრაფით ეკონომიურად და ეკოლოგიურად სასარგებლო ქმედებისაკენ, რითაც ჩვენს სოციალურს პასუხისმგებლობას აქტიურად ვახორციელებთ.

ადამიანის უფლებები

ადამიანის საერთაშორისო უფლებათა და ადამიანის ღირსების დაცვას GW-ჯგუფი თავისი ფასეულობათა სისტემის ფუძემდებლურ ნაწილად მიიჩნევს.

ბავშვთა შრომა და იძულებითი შრომა

GW-ჯგუფი გმობს ბავშვთა შრომას და იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება

GW-ჯგუფი აღიარებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების და კოლექტიურ მოლაპარაკებებში მონაწილეობის უფლებებს და ამ უფლებებს მსოფლიოს მასშტაბით იცავს.

დისკრიმინაცია

GW აღიარებს და აქტიურად ახალისებს ინდივიდის თანასწორუფლებიანობას, განურჩევლად სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური, ეროვნული წარმოშობის, ასაკის, პოლიტიკური შეხედულებების, პროფკავშირული საქმიანობისა ან უნარშეზღუდულობის. კულტურული მრავალფეროვნება ჯგუფის აქტივად მიიჩნევა, ცალკეული პიროვნებების ან ჯგუფების დისკრიმინაცია არ დაიშვება.

სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე

პროფესიული სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება GW-ს მიერ სტრატეგიული წარმატების ფაქტორად განიხილება. თანამშრომლების მომზადება კომპანიის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. GW-ში უწყვეტ განათლებას მნიშვნელოვანი როლი უკავია, რის გამოც უკვე 1988 წელს განათლების დაფინანსების მიზნით სპეციალური ფონდი შეიქმნა.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა

საქმიანობასთან მიმართებაში, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუვლსაყოფად GW პრევენციულად ადეკვატურ ზომებს მიმართავს.

გარემოს დაცვა

GW-ს აქვს გარემოს დაცვის მართვის სისტემა. ჩვენ ვუზრუნველვყოფთ ხარისხს და ეკოლოგიურად უსაფრთხო, ანუ სტაბილურ მზრუნველ საქმიანობას და გარემოს დაცვას კი ისეთ გამოწვევად ვაღიარებთ, რომლისთვისაც აწმყო და მომავალი რესურსების გამოყოფა ღირს.

3.

ბიზნეს პარტნიორები

ჩვენი მიზანია კლიენტების კმაყოფილება, რის გამოც ჩვენი ყოველდღიური მუშაობის საფუძველს მომსახურების ხარისხის მაღალი დონე წარმოადგენს. ამის პირობები საერთაშორისო კომპლექსური ორგანიზაციის სახით შევქმენით. კომპეტენციის და გადაწყვეტაზე ორიენირებულობის მეშვეობით ჩვენი თანამშრომლები დამარწმუნებლად მოქმედებენ. ჩვენ მუდმივად ვესწრაფვით გაუმჯობებისაკენ და პროაქტიურად ვმოქმედებთ.

კონკურენციის და ანტიმონოპოლიური კანონები

GW ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციას და ანტიმონოპოლიურ დებულებებს ასრულებს; კონკურენციის შემზღუდავი პრაქტიკა, როგორიცაა ფასის ფიქსინგი, არ დაიშვება. ასეთ პოზიციას GW ბიზნეს პარტნიორებისაგანაც მოითხოვს. GW-სათვის კლიენტის მომსახურების ხარისხი გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

კორუფცია

GW Transparency International-ის წევრია და პატივს სცემს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მთლიანობის, სოლიდარობის, გამბედაობის, სამართლიანობის პრინციპებს, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას. GW მკაფიოდ წინააღმდეგია კორუფციის ყველა ფორმისა, მათ შორის გამოძალვისა და ქრთამის აღების. ჩვენს თანამშრომლებს და GW-ს წარმომადგენელ მესამე მხარეს ვთხოვთ თავი შეიკავონ ნებისმიერი სარგებლის შეთავაზება/მიღებისაგან, რომელიც ბიზნეს გადაწყვეტილებზე გავლენას მოახდენდა.

მომსახურების მიმწოდებელი

კონსულტანტებზე, აგენტებზე ან შუამავლებზე გაცემული ანაზღაურება გაწეული მომსახურების პროპორციული უნდა იყოს. დაუშვებელია მესამე მხარის დაქირავება ბიზნეს პარტნიორებისათვის არაჯეროვანი უპირატესობების შექმნის მიზნით.

თანამდებობის პირები / პოლიტიკური პარტიები

დაუშვებელია რაიმე ტიპის ფარული შეღავათების მინიჭება ხელისუფლების ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოთა თანამშრომლებისა ან წარმომადგენლთათვის. ეს მოიცავს ასევე გრანტებს ან შემოწირულობებს პოლიტიკური პარტიების ან კავშირებისათვის, ან არჩეული მოხელეებისა და პოლიტიკური უწყებების კანდიდატებისათვის.

შემოწირულობანი

გარდა ჩვენი სოციალური პროექტების მიმართ ვალდებულებისა ორგანიზაციებისათვის დასაშვებია შემოწირულობანი განათლებისა და მეცნიერების სფეროში, თუ ეს ნებაყოფლობით და საპასუხო მომსახურების მოლოდინის გარეშე კეთდება.

დაფინანსება

სპორტული კლუბების, ხელოვნებისა და კულტურული გაერთიანებების დაფინანსება დასაშვებია, სანამ ის ნებაყოფლობითია და მოსალოდნელი საპასუხო ყველა მომსახურება ხელშეკრულებითაა დარეგულირებული.

ფულის გათეთრება / ტერორიზმი

GW-სთვის ბუნებრივია ფულის გათეთრების და ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი გავლენის სფეროში ისეთი ზომების გატარება, რომელიც ამგვარ ქმედებებს გაანეიტრალებს.

ჩვენი თანამშრომლების პასუხისმგებლობა

საკუთარ თანამშრომლებს GW ყველაზე დიდ აქტივად მიიჩნევს და მათი უსაფრთხოება და კმაყოფილება კომპანიისათვის პირველ ადგილზე დგას. ოჯახური ტიპის კომპანია GW-სათვის ტრადიციულია ხედვა, რომ ფასეულობები ორგანიზაციის შიდა და გარე პიროვნებებთან ურთიერთობის საფუძვლია. თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან ეს დებულებები.

4.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა

თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან უსაფრთხოების წესები და უსაფრთხო ქცევით თავიდან აიცილონ რისკები ჯანმრთელობისათვის. ხარვეზების გამოვლენისას მათ შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სათანადო ზემდგომს ან პასუხისმგებელ პირს.

საჯარო გამოსვლები

GW-ს აღქმა საზოგადოებაში განპირობებულია სხვათა შორის ასევე ჩვენი თანამშრომლების გამოსვლებით, რაშიც ასევე ციფრული საზოგადოება იგულისხმება. ჩვენს კლიენტებთან და ბიზნეს პარტნიორებთან ყოველთვის მეგობრულად და სამსახურზე ორიენტირებულად ვმოქმედებთ და მათ სათანადო პატივისცემით ვხვდებით.

ინტერესთა კონფლიქტი

საჭიროა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, და თვით ეჭვის გაჩენის შემთხვევაშიც კი ამის შესახებ უნდა ეცნობოს უფროსს ან შესაბამისობის დეპარტამენტს. ინტერესთა კონფლიქტი ვითარდება მაშინ, როდესაც თანამშრომელთა პირადი ან საკუთარი ფინანსური ინტერესები კომპანია GW-ს პოლიტიკას ან მის საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობას უპირისპირდება. გარდა ამისა დამატებითი საქმიანობის განხორციელებისას და ბიზნეს პარტნიორების ან კონკურენტების საქმიანობაში მონაწილეობისას ინტერესთა კონფლიქტი უნდა გამოირიცხოს. სამეწარმეო ან პროფესიულ კავშირში რაიმე ფუნქციის შესრულება ინტერესთა კონფლიქტად არ განიხილება.

მოსაწვევები და საჩუქრები

სამართლებრივი დებულებებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მოსაწვევების და საჩუქრების გაცემა ან მიღება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ იგი მიუღებელი ზემოქმედების შთაბეჭდილებას არ ტოვებს. წინაპირობაა: ისინი ნებაყოფლობითია და არ მიიღება/არ გაიცემა საპასუხო მომსახურების მოლოდინით.

კონფიდენციალობა

ინფორმაცია არასაჯარო კლიენტების, პარტნიორების, ქვეკონტრაქტორების, თანამშრომლებისა და კონკურენტების შესახებ კონფიდენციალურად ჩაითვლება და არ გადაეცემა არაუფლებამოსილ მესამე მხარეს, ასევე არ გამოიყენება კერძო მიზნებისათვის.

5.

ნდობა

მყარი ბაზის წყალობით GW დამოუკიდებელია და სტრატეგიულად მდგრად წარმატებაზეა ორიენტირებული. ამასთან ერთად, ყოველკვარტალური მოგების მაქსიმიზაციასთან შედარებით პერსპექტივაში გრძელვადიან მიზნებს მკაფიო უპირატესობა ენიჭებათ. GW ანგარიშვალდებულია მისი მფლობელების და თანამშრომლების წინაშე, რომელთა შრომა და ნდობა მიზნების მიღწევის საწინდარია.

კომპანიის საკუთრება

GW-ს საკუთრება მხოლოდ საქმიან კონტექსტში გამოიყენება და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას გამოყენებული არასანქცირებული, საწარმოსათვის შეუფერებელი მიზნებისათვის. ქონების გაყიდვა და გატანა განხორციელდება მხოლოდ უფლებამოსილების თანახმად.

ანგარიშგება

ყველა ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივ მოთხოვნებს და შიდა პოლიტიკას და კომპანიის მდგომარეობის ჭეშმარიტ სურათს წარმოადგენდეს.

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

მონაცემთა დაცვის პრინციპები დაცულია, ჩვენი ინფორმაციული ტექნოლოგია კი ამყარებს მათ. პერსონალური ინფორმაცია გამოიყენება და მუშავდება მხოლოდ იმ ოდენობით, რამდენადაც ეს საქმიან ფარგლებში საჭიროა და კანონითაა დაშვებული.

ქცევის კოდექსის დაცვა

GW-ს ქცევის კოდექსი მსოფლიოს მასშტაბით კომპანიის ყველა წარმომადგენლობაში ხორციელდება და მისი დაცვა ყველა თანამშრომლისათვის სავალდებულოა. მოქმედება ვრცელდება შპს Gebrüder Weiss-ზე და მის შვილობილ კომპანიებზე, იმ პირობით, რომ ისინი ჯგუფის საკუთრებაში მინიმუმ 50%-ით არიან, და შპს Gebrüder Weiss-ის მენჯმენტი ან მის მიერ დანიშნული პირები ან კომიტეტები მოღვაწეობენ.

კოდექსის დაცვის ვალდებულება

ქცევის კოდექსის დაცვა სავალდებულოა GW-ჯგუფის ყველა დირექტორის, უფროსის, მენეჯერის თუ თანამშრომლისათვის. ამ პოლიტიკის განხორციელების პასუხისმგებლობა ნაწილდება ზემოდან ქვემოთ (Topdown).

დარღვევების გამოაშკარავება

კანონმდებლობის ან შიდა პოლიტიკის დარღვევების შესახებ GW ჯგუფის თანამშრობლებმა უნდა შეატყობინონ თავის პირდაპირ ხელმძღვანელს, სხვა მენეჯერს, სამეწარმეო საბჭოს ან შესაბამისობის დეპარტამენტს. ყველა წარმოდგენილი ინფორმაცია კონფიდენციალურად იქნება დაცული.

ინფორმაციის მომწოდებლის დაცვა

GW არ შეეგუება რაიმე ქმედებას იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც ქცევის კოდექსის ფაქტობრივი ან სავარაუდო დარღვევები გამოააშკარავეს. GW ასევე იტოვებს უფლებას მიიღოს დისციპლინარული ზომები იმ თანამშრომლის მიმართებაში, რომელიც ცრუ ბრალდებებს წინასწარი შეცნობით აყენებს.

შედეგები

კანონების ან შიდა პოლიტიკის დარღვევისათვის ჩვენი თანამშრომლების და საქმიანი პარტნიორების, ასევე კომპანიის, ინტერესების დაცვის მიზნით მიიღება შრომის კანონში გაწერილი და დისციპლინარული ზომები. გარდა ამისა, მოქმედი სამართლის დარღვევებმა სამოქალაქო ან სისხლის სამართლებრივი შედეგები შეიძლება განაპირობონ.

დამატებითი ინფორმაცია

თუ თქვენ გაქვთ შეკითხვები ან გჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია, გთხოვთ დაუკავშირდეთ უშუალოდ შესაბამისობის დეპარტამენტს.

6.